

შპს „ოქსიმო ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	8
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
6. მარაგები.....	9
7. ძირითადი საშუალებები	10
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
9. მოლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები.....	11
10. გრძელვადიანი სესხები	11
11. ამონაგები.....	11
12. სხვა შემოსავლები	12
13. პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	2,686,289	4,911,929
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(799,454)	(2,554,430)
საერთო მოგება		1,886,835	2,357,500
სხვა შემოსავლები	12	249,858	43,921
ხელფასის ხარჯი		(650,124)	(591,531)
ტრანსპორტირების ხარჯი		(491,136)	(539,240)
იჯარის ხარჯი		(121,469)	(128,767)
ცვეთის ხარჯი		(165,475)	(174,379)
კომუნალური ხარჯი		(20,410)	(23,914)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		(177,353)	(181,220)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		589	1,883
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		82,559	(330,360)
საოპერაციო მოგება		593,875	433,893
ფინანსური ხარჯი		(12,992)	(43,324)
მოგება დაბეგრამდე		580,883	390,569
მოგების გადასახადი		(871)	-
პერიოდის მოგება		580,012	390,569

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 27 სექტემბერს:
 დირექტორი ----- თაბოლქვაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	418,542	1,033,446
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,000,752	1,492,354
მარაგები	6	153,812	66,460
საგადასახადო აქტივები		158,894	226,532
სხვა მოკლევადიანი აქტივები		82,726	65,526
		2,814,727	2,884,318
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	259,771	369,377
არამატერიალური აქტივები		461	579
		260,233	369,956
მთლიანი აქტივები		3,074,959	3,254,274
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	61,589	72,784
მიღებული ავანსები		-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		-	28,179
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	9	-	107,620
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,778	812
		67,367	209,395
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	617,299
		-	617,299
მთლიანი ვალდებულებები		67,367	826,694
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,007,592	2,427,581
		3,007,592	2,427,581
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,074,959	3,254,274

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 27 სექტემბერს:
დირექტორი _____ თ. ბოლქვაძე




საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი		გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	1	-	2,037,012	2,037,013
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	390,568	390,568
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022	1	-	2,427,581	2,427,581
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
პერიოდის მოგება	-	-	580,012	580,012
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	1	-	3,007,592	3,007,593

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის საბჭოთა 2024 წლის 27 სექტემბერს:
 დირექტორი ----- თ. ზოლუქვაძე




შპს „ოქსიმო ჯეო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
პერიოდის მოგება/(ზარალი) კორექტირებები:	580,012	390,569
ცვეთა და ამორტიზაცია	165,475	174,379
საპროცენტო ხარჯი	12,992	43,324
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	758,478	608,272
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(508,398)	596,309
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(87,352)	10,639
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(34,408)	62,130
საგადასახადო აქტივების ცვლილება	67,637	(19,329)
სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება	(17,200)	(3,415)
გადახდილი პროცენტი	(12,992)	(43,324)
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	165,766	1,211,281
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(55,751)	(94,108)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(7,514)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული	(55,751)	(101,621)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :		
სესხების აღებით მიღებული თანხები		724,919
სესხების გადახდით გასული თანხები	(724,919)	(837,316)
მოთხოვნები გაცემული სესხიდან		-
დივიდენდის გაცემა		-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(724,919)	(112,397)
წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში	(614,904)	997,263
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,033,446	36,183
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	418,542	1,033,446

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის (საბუღალტრო) 2023 წლის 27 სექტემბერს:
 დირექტორი ----- თბილისი



1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ოქსიმო ჯეო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405179783.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ოქსიმო ჯეო“ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვლევებისათვის საჭირო მედიკამენტების დასაწყობება, გადაადგილება, ტემპერატურულ კონტროლი, შენახვა და დაცვა, იმპორტი/ექსპორტის დოკუმენტების უზრუნველყოფა, გადაზიდვა, მიწოდება კლინიკებში ასევე პაციენტებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების ორგანიზება

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IVმ/რ, კორპ., №10ბ, ბ. 58

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია: კომპანია „ SP-Logistics Holdings LTD“ რომელიც წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის რეზიდენტს

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2023, 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფული ექვივალენტები- წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15,252	125,025
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	403,290	908,421
სულ	418,542	1,033,446

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

გაცემული ავანსები-წარმოადგენს საქონლის/მომსახურების შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

გაცემული სესხები - წარმოადგენს რეზიდენტ კომპანიაზე გაცემულ სესხს.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	979,774	502,201
გაცემული ავანსები	12,000	12,000
გაცემული სესხები	1,008,979	978,153
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ	2,000,752	1,492,354

6. მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

	31.12.2023	31.12.2022
მზა პროდუქცია	35,644	22,565
მცირე ფასიანი ინვენტარი	117,653	42,830
სხვა მარაგი	515	1,066
სულ	153,812	66,460

7. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

შპს „ოქსიმო-ჯეო“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თვითღირებულება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2022	456,575	67,077	166,429	67,532	21,913	779,526
შემოსვლა	50,276	4,374	1,100.85	-	-	55,751
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	506,850	71,451	167,530	67,532	21,913	835,277
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	176,389	34,274	146,824	32,301	20,359	410,148
პერიოდის ცვეთა	120,686	10,012	19,598	13,506	1,554	165,357
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	297,076	44,286	166,422	45,808	21,913	575,504
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	280,185	32,803	19,606	35,230	1,554	369,378
31 დეკემბერი 2023	209,775	27,165	1,108	21,724	-	259,772

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადასახდელი ხელფასები - წარმოადგენს თანამშრომლებზე დარიცხულ ხელფასებს, რომლის გაცემაც არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	61,589	72,784
გადასახდელი ხელფასი	-	28,179
სულ	61,589	100,963

9. მოლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები

მოლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები- წარმოადგენს გრძელვადიან სესხზე გადასახდელი პროცენტის მინდინარე ნაწილს

<i>მოკლევადიანი სესხები</i>	31.12.2023	31.12.2022
გადასახდელი პროცენტი	-	107,620
სულ მოკლევადიანი სესხები	-	107,620

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები-წარმოადგენს არარეზიდენტი კომპანიის მიერ მიღებულ სესხს, რომლის ძირის და პროცენტის მინდინარე ნაწილი აღირებულია როგორც მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტები

<i>გრძელვადიანი სესხები</i>	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხები	-	617,299
სულ გრძელვადიანი სესხები	-	617,299

11. ამონაგები

ამონაგები - მოიცავს როგორც საქონლის მიწოდებიდან ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახსრებს ან სხვა საგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან	2,686,289	4,911,929
სულ	2,868,289	4,911,929

12. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები-სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო შემოსავალი	14,522	15,598
შუამავალი, კლიენტზე ანაზღაურებული კომპენსაცია	235,336	28,323
სხვა შემოსავალი	588.60	
სულ	249,858	43,921

13. პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.